ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№43

ქ. თბილისი; 29 მარტი, 2019 წ. 10 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მერაბ მამულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - საბა ფიფია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის იურისტი - ქეთევან კანდელაკიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსი - **სალომე ვერულაშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 აგვისტოს მოქმედარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში

ცვლილების შეტანისშ შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზაურო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგაევების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. “ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

13. „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N416-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12 ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტლის კორპუს 17-ში (საკადასტრო კოდი: 101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ: 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 7კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის“ (ს/ნ:204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9 ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21“-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი #37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი #37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის“ (ს/კ: #205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. “2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნაწული ჭიაურელის (პ/ნ:01024043431) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. “ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ: 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის“ (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით

გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. „ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ“ ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღწაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N 424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს ,,კასს პარკინგი''-სთვის (ს/ნ 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. „ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი Xბ-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. "ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

39. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

40. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

41. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

42. „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძისI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

43. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

44. „ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გამოსწორების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

45. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

46. „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

47. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

48. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

49. „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

50. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

51. „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა- **სერგო ბირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №10-19 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის დანართში – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა“ ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილებას ემატება 1 (ერთი) ახალი საშტატო ერთეული - **მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი; თანამდებობრივი სარგო - 1200 (ათას ორასი) ლარი;**

- ამავე განყოფილებაში მცირდება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი) ლარი);

- ამასთან, ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებაში იზრდება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი

სპეციალისტის 1 (ერთი) საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათასი) ლარი;

- ამავე განყოფილებაში მცირდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 (ერთი) საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო - 1200 (ათას ორასი) ლარი;

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - ნინო ლაცაბიძე, მერიის იურიდიულ სამსახურში განხორციელებული, საკადრო ცვლილებების მიზეზით დაინტერესდა.

ბატონმა ბირკაძემ განმარტა, რომ სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილებაში - 1 (ერთი) ახალი საშტატო ერთეულის დამატება გამოწვეულია, იმით, რომ აღნიშნულ განყოფილებაში არ არის გათვალისწინებული არცერთი პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატი, რის გამოც, აღნიშნულ განყოფილებაში ვერ ხერხდება კვალიფიციური იურისტების დასაქმება, რომელთაც ჯერ არ აქვთ შესაბამისი სპეციალობით სამუშაო გამოცდილება.

კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი, მიესალმა, იურიდიულ განყოფილებაში განხორციელებულ საკადრო გადანაწილებას. ბატონი ლევანმა, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში, დადგენილების ამოქმედების თარიღად, მითითებულ იქნას „გამოქვეყნებისთანავე".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-66 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ წესში, რომლის მიხედვით, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება გაგრძელება 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან.

ნინო კვეტენაძემ, წარმოდგენილი ცვლილების მიზეზად, სტიქიით დაზარალებულ პირთათვის დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადების სიმცირე, ასევე, 2018 წლის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხების არასაკმარისი მოცულობა დაასახელა.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3-4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი -კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, გათვალისწინებულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-სახაზუჯეტო კომისიის თავმჯდომარის - ირაკლი ზარქუასა და საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილის“ პრეზიდენტის მოთხოვნა და ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრები, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებულნი, ავტობუსებითა (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) სამგზავრო გადაყვანისას, ნაცვლად, შეღავათიანი ტარიფისა, უფასოდ მგზავრობის შეღავათით ისარგებლებენ.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ მონაცემთა ბაზის მიხედვით, გაცემული და გააქტიურებულია 286 ბარათი.

როგორც ბატონმა აბულაძემ განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, თბილისში რეგისტრირებულ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე ნიბისმიერ უსინათლო პირს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე უსინათლო პირთა გამცილებლებს, ასევე მიეცემათ მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებენ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები. აღნიშნული შეღავათი ასევე გავრცელდება, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე, კერძოდ:

- ✓ თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების 16 თანამშრომელი;
- ✓ თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის 20 თანამშრომელი;
- ✓ კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სალის 50 თანამშრომელი;

ბატონმა აბულაძემ აღნიშნა, რომ №20-81 დადგენილებაში, 2017 წლის 8 მაისის ცვლილების თანახმად, გაუქმდა საბაგირო გზით მგზავრობის შეღავათი და ფასდაკლების სისტემა შეეხება მხოლოდ ავტობუსითა (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო გადაადგილებას. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, იცვლება

საკრებულოს №20-81 დადგენილების სათაური, აღნიშნული ცვლილების ასახვა ხდება ასევე, 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაშიც.

ამასთან, №6–25 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ჩამოყალიბებული პირველი მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უკვე განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე სხვა კატეგორიების მოქალაქეთათვის ბარათების გაცემა უხდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა.

როგორც ბატონმა აბულაძემ განაცხადა, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში, შეტანილი ცვლილებებით: გაუქმდა განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე კულტურისა და სპორტის სამინისტროები და შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; გაუქმდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები და შეიქმნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ასევე, საკრებულოს №19-58 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით, რეორგანიზაციის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს ეწოდა თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. შესაბამისად, როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხდება აღნიშნული ცვლილებების საკრებულოს №6–25 დადგენილებაში ასახვა.

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ საკრებულოს №6–25 დადგენილების მოქმედი რედაქციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილი უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობა, სხვა პირობებთან ერთად, ხორციელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე სამართლებრივი აქტების შესაბამისად გაცემული სამგზავრო პლასტიკური ბარათების მეშვეობით. აღნიშნული ჩანაწერის არსებობა განპირობებული იყო იმით, რომ ზემოაღნიშნული შეღავათით მოსარგებლე არაერთი კატეგორიის მოქალაქეზე უფასო/შეღავათიანი მგზავრობის ბარათების გაცემა დაწყებული იყო ჯერ კიდევ 2007-2009 წლებში, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებების, დედაქალაქის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №6-35 და 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილების შესაბამისად და რამდენადაც, ამ სამართლებრივი აქტების მიღებიდან განვლილი პერიოდის გათვალისწინებით ამ ჩანაწერმა აქტუალობა დაკარგა, იგი ამოსაღებია საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების პირველი მუხლიდან.

საკითხის ირგვლივ მსჯელობისას, ბატონმა აბულაძემ ასევე ისაუბრა, წარმოდგენილი დადგენილებების პროექტების თანმდევ, სხვა, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - ქეთევან მამულაშვილი დაინტერესდა, უსინათლო პირთა გამცილებლების მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა უპასუხა ქალბატონ ქეთევანს და განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, საქართველოს უსინათლოთა კავშირის მომართვის საფუძველზე, რომლის მიხედვით, უსინათლოთა კავშირმა მოითხოვა, თბილისში მცხოვრები უსინათლოთა გამცილებლით მომსახურების პროექტში ჩართულ 3 (სამი) გამცილებელს მისცემოდათ მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, ორივე დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 და მე-3 პუნქტი გამართულ უნდა იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ასევე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრული ჩანაწერი უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ჩამოყალიბებული პირველი მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უკვე განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე სხვა კატეგორიების მოქალაქეთათვის ბარათების გაცემა, ამ კატეგორიებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ბარათების გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ის განსაზღვრამდე, უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა.“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5-6-7 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენილია ახალი დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნითავტობუსების (M2და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“, რომლის თანახმად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მტკიცდება ქუჩები და მათზე ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერებების ადგილები.

როგორც ბატონმა აბულაძემ განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებიდან გამომდინარე, სჭირო გახდა, ცვლილებების განხორციელება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცალკეულ დადგენილებებში, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-47 დადგენილებიდან ხდება 1[1] პუნქტის ამოღება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №1-5 დადგენილებიდან 1[1] მუხლის ამოღება, რომლებიც ამტკიცებენ ქუჩებსა და მათზე ავტობუსების (M2 კატეგორია) გაჩერებების ადგილებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დამტკიცებულია 14 ქუჩა და მათზე ავტობუსების (M2 კატეგორია) გაჩერების ადგილები, რომლებსაც ემატება კიდევ 12 ქუჩა, კერძოდ:

- ქეთევან დედოფლის გამზირი; აკაკი წერეთლის გამზირი; ცოტნე დადიანის ქუჩა; დავით გურამიშვილის გამზირი; გრიგოლ რობაქიძის გამზირი; პეტრე ქავთარაძის ქუჩა; შალვა ნუცუბიძის ქუჩა; ჯავახეთის ქუჩა; სულხან ცინცაძის ქუჩა; თამარ მეფის გამზირი; ვაჟა ჩაჩავას ქუჩა; აწყურის ქუჩა; (აღნიშნულ 12 ქუჩაზე გათვალისწინებულია ავტობუსის 183 გაჩერება).

საკითხის ირგვლივ მსჯელობისას, ბატონმა აბულაძემ ასევე ისაუბრა, წარმოდგენილი დადგენილებების პროექტები თანმდევ, სხვა, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებზე.

აზრი გამოთქვა:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.13.146 განკარგულება.

მე-6 საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ პირველ პუნქტს უნდა ჩაემატოს, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დადგენის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის N19.355.474 განკარგულება და პირველი პუნქტი დაჩამოყალიბდეს ასაღო რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

- ✓ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი;
- ✓ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ვ[1] ქვეპუნქტი;
- ✓ 75–ე მუხლის „ე.ე[1]“ ქვეპუნქტი;

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - საბა ფიფიამ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის№ 17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 17-55 დადგენილებით დამტკიცებულ წესში, რომლითაც ხდება ტერმინის - „დიდტანიანი ხე“ განმარტება. განმარტების მიხედვით, დიდტანიანია ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სმ-ს.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილების არსებულ რედაქციაში დაკონკრეტებულია წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაიშვება ან არ დაიშვება ხის გადარგვა. აღნიშნული წინაპირობები ერთმნიშვნელოვნად შეეხება ხეებს, რომელთა დიამეტრიც აღემატება 25 სმ-ს, თუმცა ბუნდოვანი ჩანაწერის გამო, საჭირო

გახდა იმის დაკონკრეტება, რომ წესის 21[1] მუხლით გათვალისწინებული გადარგვის წინაპირობები შეეხება მხოლოდ და მხოლოდ დიდტანიან ხეებს. შესაბამისად, 21[1] მუხლის სათაური დაკონკრეტდება და განისაზღვრება კონკრეტულად დიდტანიანი ხის გადარგვის წინაპირობები. ხოლო, 25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მქონე ხის გადარგვა დარეგულირდება ცალკე 21[2] მუხლით, რომლის თანახმადაც 25 სმ ან 25 სმ-ზე წაკლები დიამეტრის მქონე ხეების გადარგვის თაობაზე უფლებამოსილი ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისკრეციულად იღებს გადაწყვეტილებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტის პირველი მუხლში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში, მე-5 სართულზე, ბინა N56-ის 75,44 კვ.მ. ფართის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, დევნილის სტატუსის არმქონე პირისთვის - მოქალაქე დარიკო კოპალიანისათვის (პ/ნ: 01001017889) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის თქმით, ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია, ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი მიმართვა, მოქალაქე დარიკო კოპალიანისათვის, მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების წერილის თანახმად, მოქალაქე დარიკო კოპალიანი დაახლოებით 18 (თვრამეტი) წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც ასევე დასტურდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ჯიქია 2012"-ის მიერ წარდგენილი განცხადებით.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან ამონაწერების მიხედვით, მოქალაქე დარიკო კოპალიანისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე არ ფიქსირდება უძრავ ქონების საკუთრების უფლება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მითითებულ იქნას უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის, კორპუსი N33-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, იმ პირთათვის (6 პირი) საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს წერილითა და მეზობლების ნოტარიული თანხმობით, დასტურდება, რომ დაინტერესებული პირები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1998-2000 წლიდან დღემდე.

ნინო კვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილია, ვაკის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის, კორპუს N33-ში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, მათ დაინტერესებაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის დანართი #1-ში სწორად უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საკადასტრო კოდი და შესაბამისობაში მოვიდეს განკარგულების პროექტის პირველ პუნქტთან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.013.01.026**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში, მე-3 სართულზე მდებარე **19.65კვ.მ** ფართის, ბინა N26-ის, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, სოციალურად დაუცველი პირისთვის, მოქალაქე იზოლდა მელუასთვის** (პ/ნ **55001016432**) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონი ნინოს თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ, **2018 წლის 3 აპრილის** წერილით, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში, ბინა N26-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მოქალაქე იზოლდა მელუასთვის გადაცემის მიზნით. ასევე, სამგორის რაიონის გამგეობამ, მოქალაქე იზოლდა მელუას სარგებლობაში არსებული ფართის დაკანონებასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარადგინა შემოწმების ოქმი და ფოტოსურათები, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ მოქალაქე იზოლდა მელუა წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს და დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების განცხადებით, დასტურდება რომ მოქალაქე იზოლდა მელუა, 2002 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს საპრივატიზებო საფასურის „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად" მითითება და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ასალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მთავრობის N18.999.1433 განკარგულების დანართში მითითებული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემას.

ქალბატონი ნინოს თქმით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, შესაბამის საცხოვრებელ ფართებში (მათ შორის, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი N4, ს/კ: N01.16.09.001.004) მცხოვრები მოქალაქეებისათვის, აღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, თუ პირი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი საკუთრების უფლებით არ ფლობს (არც ჰქონიათ) ან არ სარგებლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონებით, ხოლო იმ ფიზიკური პირებისთვის, რომელთა მიმართაც, სამინისტროს გააჩნია შესაბამისი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება არაუმეტეს 40 კვ.მ. საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაცხადებენ, რომ აღარ გააჩნიათ მოთხოვნა ზემოაღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებულ, სამინისტროს ვალდებულებასთან დაკავშირებით.

როგორც ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, სააგენტოში წარმოდგენილია, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების, დაინტერესებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების მიერ შედგენილი ოქმების თანახმად, ზემოაღნიშნული მოქალაქეები ნამდვილად ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ საცხოვრებელ ფართებზე.

ა'ხრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტში უნდა აისახოს, საკრებულოს მიერ, მთავრობისათვის თანხმობის გაცემა, ქ. თბილისის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის N19.285.375 განკარგულებაზე, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N18.999.1433 განკარგულების დანართი N1-ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

ამასთან, **თავმჯდომარის** თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. *იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა* - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (**საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045**) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად**, მთავრობის **N19.240.336** განკარგულებით გათვალისწინებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეები თავიანთ ოჯახებთან ერთად **1995-1997 წლებიდან - დღემდე** შესახლებულნი არიან დეკაბრისტების ქუჩა N3-ში მდებარე საბავშვო ბაღის შენობაში, გრიშაშვილის ქუჩა N23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ავარიული მდგომარეობისა და გრიშაშვილის ქუჩა N40-ში მდებარე სახლში ხანძრის გაჩენის გამო. აღნიშნული ასევე დასტურდება, ქ.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების წერილით.

მომხსენებლის თქმით, კრწანისის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს, რათა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შუამდგომლობის გზით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცემოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შემდგომში, მთავრობის **N19.240.336** განკარგულებით გათვალისწინებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის – ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და პროექტის პირველი პუნქტი გამარტულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270**) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1** (ერთი) ლარად იმ პირთათვის (5 პირი) საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ დაინტერესებული პირები ნამდვილად ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული ქონებით **2003 წლიდან დღემდე.**

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-

ში მცხოვრები მოქალაქეებისთვის დაინტერესებაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილით წამდვილად დასტურდება ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი, თუმცა, არ დგინდება რა დროის განმავლობაში სარგებლობენ ისინი აღნიშნული ფართით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის – ლაკვან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3-ის დასახლების IV მიკრო რაიონის კორპუს N416-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.017.01.017**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N416-ში, მე-9 სართულზე, 74.95 კვ.მ. ფართის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე - ნინო პაპუნაშვილისთვის (პ/ნ 20001056196)** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია, წერილობითი შუამდგომლობა, რომლითაც სამგორის გამგებელმა იშუამდგომლა ქალაქის მერთან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე ნინო პაპუნაშვილისთვის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ)** ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც 1993 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს მის მიერ დაკავებულ ფართში.

დასასრულს, **ქალბატონმა ნინომ** აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმის თანახმად, მოქალაქე ნინო პაპუნაშვილი მეუღლესთან და შვილთან ერთად ზემოხსენებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 25 წელია. აღნიშნულს ადასტურებენ ასევე ნინო პაპუნაშვილის მეზობლები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, **სიმბოლური ოაწხა - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში (**საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში მდებარე 25,52 კვ.მ ფართის, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე ნორა ცოცხალაშვილისთვის (პ/ნ: 01030038592)** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების მიერ წარდგენილი წერილით დასტურდება, რომ მოქალაქე ნორა ცოცხალაშვილი, დაახლოებით 10 წელია ნამდვილად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში. ასევე, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილის მიხედვით, ნორა ცოცხალაშვილი, **2002 წლიდან** ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც ასევე დასტურდება, ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების დასტურით.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარმოდგენილია, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში მცხოვრები, ნორა ცოცხალაშვილისთვის, საცხოვრებელი ფართის, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, მიმდინარე პერიოდზე მოქალაქე ნორა ცოცხალაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „**სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**" და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად** - 1 (ერთ) ლარად, **მთავრობის N19.275.353** განკარგულებით გათვალისწინებული **18** (თვრამეტი) ოჯახისათვის საკუთრებაში გადაცემას.

ქალბატონი ნინოს თქმით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით დაინტერესებული პირების დიდი უმრავლესობა სოციალურად დაუცველი ოჯახია და ისინი 2011 წლიდან დღემდე ცხოვრობენ მათ მიერ დაკავებულ ფართში, რაც ასევე დასტურდება მეზობლების მიერ სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

როგორც **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ, **არადევნილის სტატუსის მქონე 18 (თვრამეტი) ოჯახისთვის, მათ სარგებლობაში არსებული ფართების** სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების წერილის თანახმად, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში არსებული ფართით სარგებლობენ, უძრავი ქონები გადაცემით დაინტერესებული შესაბამისი მოქალაქეები, თუმცა უცნობია, რა პერიოდის განმავლობაში სარგებლობენ ისინი აღნიშნული ფართებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გაიმართოს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო თბილისი“ წევრმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შესთავაზა, "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტლის კორპუს 17-ში (საკადასტრო კოდი: 101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადადება, მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის/შესწავლისა და დაინტერესებული პირების მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გადადების საკითხს.

მოისმინეს:

19. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში მდებარე - 54.67 კვ.მ ფართის, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად,** დევნილის სტატუსის არმქონე პირისთვის - **მოქალაქე დალი ზურაბიშვილისთვის** (პ/ნ 01011028958) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართის **მოქალაქე დალი ზურაბიშვილისთვის** საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. ასევე, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილისა და მოქალაქე დალი ზურაბიშვილის მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული განცხადების თანახმად, **დალი ზურაბიშვილი 2005 წლიდან დღემდე** ოჯახთან ერთად ცხოვრობს, მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა, ქვანახშირის დასახლება, კოტეჯი N5.

დასასრულს **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს **წერილის თანახმად, 2004 წლიდან** დღემდე მოქალაქე **დალი ზურაბიშვილის** ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება, უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.** ამავე წერილის თანახმად კი, დალი ზურაბიშვილის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო უძრავ ნივთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, ქუჩა არსენა N10ა, (საკადასტრო კოდი: 01.20.01.039.004) ფართობი 753კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (უფლების რეგისტრაციის თარიღი: 22.11.2011წ. უფლების გასხვისების თარიღი: 17.12.2011წ.) გარდა აღნიშნული უძრავი ნივთისა 2000 წლიდან დღემდე სხვა უძრავ ნივთზე დალი ზურაბიშვილის საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ ყოფილა/არ არის.

ასევე, დალი ზურაბიშვილი მეუღლის ისაკ მოსესიანის საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო უძრავ ნივთებზე მდებარე: 1. ქალაქი თბილისი, ქუჩა გუმბრის N31 30.12 კვ,მ (უფლების რეგისტრაციის თარიღი: 27.11.2009 წელი, უფლების გასხვისების თარიღი: 04.12.2009 წელი). 2. ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, სოფელი ნასაგური, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1500 კვ.მ (უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08.10.2013 წელი, უფლების გასხვისების თარიღი: 16.10.2013 წელი). გარდა აღნიშნული უძრავი ნივთებისა ისაკ მოსესიანის საკუთრების უფლება 2000 წლიდან დღემდე სხვა უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული არ ყოფილა/არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს საპრივატიზებო საფასურის „სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად“ მითითება და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მუხამის ქუჩის მიმდებარედ (**საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გახკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხამის ქუჩის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, აღნიშნული საცხოვრებელი ფართით მოსარგებლე პირებისთვის (22-პირი).

ნინო კვეტენაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, მუხამის ქუჩის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების უფროსის წერილით დასტურდება, ზემოაღნიშნული პირების მიერ საცხოვრებელი ფართით სარგებლობა. ასევე, მეზობლების განცხადებებით დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, მუხამის ქუჩის მიმდებარედ მდებარე ფართში ცხოვრებენ 2005-2010 წლიდან დღემდე.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ დაინტერესებულმა პირებმა წარმოადგინეს წერილობითი თანხმობა, საცხოვრებელი ფართის შესაბამის ნაწილზე მოთხოვნის უფლების, მისი ოჯახის წევრის სასარგებლოდ დათმობის შესახებ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (**ს/კ:№01.10.14.031.048**) პირდაპირი განკარგვის წესით **ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ: 01817062041)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ლეილა ხობელიასთვის, ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „სამშობლო"-სთვის, ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან, 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება- 3 000 (სამიათასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „სამშობლო“-ს საკუთრებაშია, მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ უძრავი ქონება.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, ღია კაფის მოწყობისას დაცული უნდა იყოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის“ (ს/ნ:204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ბისტროსთვის“ ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 და 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით**, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 წლით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს **1800 (ათას რვაასი) ლარს.**

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ლესელიძის №6/4-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტში ლესელიძის ქუჩის გვერდით, ფრჩხილებში, საჭიროა მიეთითოს აღნიშნული ქუჩის ახალი სახელწოდება, კერძოდ კი **კოტე აფხაზის ქუჩა.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ნაზი დანელიასთვის, ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის უჯრედის გამოყენების (ფუნქციონირების) მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, III-ე შესახვევი, №34ა-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის" (ს/ნ: 405164806)

სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“** ქალაქ თბილისში, **შ.დადიანის** ქუჩა №9 ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით **იჯარის ფორმით** გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის** მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის** მოქმედების ვადა განისაზღვრება **2019 წლის 1 ნოემბრამდე.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს **600** (ექვსასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამოხაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირი იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21“-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ამხანაგობა „კრწანისი 21“-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კრწანისის ქ. #21, შენობა N1-ში მდებარე ბინა N65-ზე იპოთეკით დატვირთვის ვალდებულების გაუქმებას, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვიდან შემოსული თანხები სრულად იქნება მიმართული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისკენ, მათ შორის, **სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და მისი ეზოსთვის გამოყოფილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უზრუნველსაყოფად.**

ქალბატონი ნინოს თქმით, ამხანაგობა „კრწანისი N21“-ის თავმჯდომარემ მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მათ საკუთრებაში არსებული ფართის ბოლო სართულზე მდებარე ბინა N65-ზე (173.9 კვ.მ და საზაფხულო ფართი (ვერანდა) 182.26 კვ.მ) იპოთეკის ვალდებულების გაუქმება, რათა განახორციელონ აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაცია, ვინაიდან, ვერანდა საჭიროებს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების განხორციელებას და წვიმის დროს დაგროვილი წყალი აზიანებს ქვედა სართულებზე არსებულ ფართებს. ამხანაგობა აღნიშნული სამშენებლო ხარვეზის გამოსწორებას საკუთარი ხარჯებით ვერ ახერხებს და მოიძიეს პოტენციური მყიდველი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

ამასთან, ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისში, კრწანისის ქ. #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულია და კეთილმოწყობილია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პროფილის შენობა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - ელენე ოზაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ არის აღნიშნული საბავშვო ბაღის შენობა ექსპლუატაციაში მიღებული.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ საბავშვო ბაღის შენობა ექსპლუატაციაში არ არის მიღებული, მშენებლობისას დარღვეული პროექტის გამო. ქალბატონი ნინოს თქმით, მუნიციპალიტეტის მიზანია, აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები პირველ რიგში მოხმარდეს, შენობის ექსპლუატაციაში მიღებას, რათა საბავშვო ბაღის არსებობასა და ფუნქციონირებას არ შეექმნას საფრთხე.

ქალბატონი ელენე დაინტერესდა, რატომ არ განახორციელა მუნიციპალიტეტმა დროულად ჩარევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა უპასუხა ქალბატონ ელენეს და განმარტა, რომ წინა წლებიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, არსებობს ექსპლუატაციაში მიუღებელი და დაუმთავრებელი შენობების პრობლემა, რომელთა უმრავლესობას დარღვეული აქვს კონსერვაციის წესები და პირობები, რაც წარმოადგენს საფრთხეს ქალაქისთვის. ბატონი ლევანის თქმით, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად სამომავლოდ იგეგმება მნიშვნელოვანი ინიციატივების გაჟღერება.

ბატონმა ლევანმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი პაკეტის შექმნამდე, მნიშვნელოვანია მსგავსი საკითხების ხელშეწყობა და იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნულ ბაღში დადის დაახლოებით 500 აღსაზრდელი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩერმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

27. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მერიის ინიციატივით, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისათვის, ზოგიერთ ფიზიკურ და იურიდიულ პირს დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გადაეცათ განსაზღვრული მიწის ნაკვეთები, შესაბამისი ჯიხურების განთავსებისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, სავაჭრო ჯიხურების განთავსებასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2018 წლის 31 მარტს, თუმცა აღნიშნული პირები ფაქტობრივად დარჩნენ ტერიტორიაზე და აგრძელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას, შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვეღარ იღებდა ქონებით სარგებლობის საფასურს.

ქალბატონი ნინოს თქმით, პირები, რომლებიც დღეის მდგომარეობამდე ფაქტობრივად ფლობენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შესაბამის მიწის ნაკვეთებს კვლავ ითხოვენ სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებას კონკრეტული ვადით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მთავრობის N19.178.221 განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის (რაოდენობრივად 21 (ოცდაერთი) სუბიექტი), მიწის ნაკვეთების (თითოეული-6 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, შემდეგი პირობებით:

- მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის წლიური საფასური იქნება 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი ხელშეკრულების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასური;
- მომავალი მოიჯარე ვალდებული იქნება მუნიციპალიტეტს გადაუხადოს ქონების ფაქტობრივი ფლობის პერიოდში ქონებით სარგებლობის საფასური იმ ოდენობით, რომელიც დადგენილია 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებით;

- მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 ივლისამდე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა იმ იურიდიული პირების თაობაზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემით

ნინო კვეტენაძემ, ქალბატონი ლილეს საპასუხოდ, ზოგიერთი კომპანია - „ძირაქი“, „ძაცხე“, კონდიტერი და "პოულტრი ჯორჯია" დაასახელა.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ემუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და 122[1]მუხლის მე-10 პუნქტი. ასევე, პროექტის პრეამბულა გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავრობის N19.178.221 განკარგულებაში, ცვლილებების განხორციელების შემდგომ, მითითებული საკითხების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ახალი პუნქტის სახით მიეთითოს, მომავალი მოიჯარის მიერ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფაქტობრივი ფლობის პერიოდში, 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, სარგებლობის წლიური საფასურის ანაზღაურების ვალდებულება, ასევე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულყოფის მიზნით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს განკარგულების პროექტის შესაბამისი პუნქტები და შენიშვნების გათვალისწინებით შეიცვალოს მათი ნუმერაციაც. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ შეიმუშავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი განკარგულების პროექტი, რომელიც დანართის სახით დაერთვება კომისიის დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი #37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი #37-

ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის“ (ს/კ: #205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მომსახურების ცენტრი - „მწვანე სახლი“ კმსახურება აუტიზმის, ეპილეფსიის, განვითარების შეფერხების, ან სხვა დიაგნოზის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს. ცენტრი ფსიქოლოგიურ და ფსიქოთერაპიულ დახმარებას უწევს მშობლებსაც და მუშაობს ბავშვებისა და მშობლების ფსიქოემოციური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილების საფუძველზე „მწვანე სახლს“ იჯარით გადაეცა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე 100,96 კვ.მ. ფართი, 10 წლის ვადით, ხოლო, ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა - 8000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით.

როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, ცენტრის მომსახურების ფასი შედარებით დაბალია, მთელ რიგ შემთხვევებში კი უფასო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციას იჯარის გადასახადი მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვა და ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 21 დეკემბრის ბრძანების თანახმად, საიჯარო პირობების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შედეგად, „მწვანე სახლს“ შეუწყდა 100,96 კვ.მ. ფართზე იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლება.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქალაქ თბილისის მთავრობის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის 2018 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლოს - 9328 (ცხრა ათას სამას ოცდარვა) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან, „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლის“ გათავისუფლება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პრეამბულაში მითითებულ იქნას:

- ✓ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N19.227.294 განკარგულება.

ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ასევე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში აღნიშნული: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა“ ნაცვლად, მიეთითოს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან **ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431)** გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ - ნანული ჭიაურელს შორის, **2010 წლის 20 ივლისს** გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ნანული ჭიაურელს, კიბის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაეცა, ქ.თბილისში, გამრეკელის ქუჩა N9-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 14 წლით, ხოლო ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობად განისაზღვრა -100 (ასი) ლარი.

ნინო კვეტენაძის თქმით, მოქალაქე ნანული ჭიაურელმა 2014 წლის 8 სექტემბერს განახორციელა, მის საკუთრებაში არსებული ქონების მოქალაქე დავით აბაშიძეზე (პ/ნ: 01010014918) გასხვისება, რომელიც, მოცემული პერიოდიდან იხდის **2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ყოველწლიურ საიჯარო ქირას.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ნანული ჭიაურელს შორის **2010 წლის 20 ივლისს** გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, **2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე** შეუსრულებლობისათვის დაკისრებული,**764 (შვიდას სამოცდაოთხი) ლარის** ოდენობით პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის გათავისუფლება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, არსენ ასათიანისთვის, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, საკადასტრო კოდით №01.10.14.012.030 რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან კიბის და პანდუსის მოსაწყობად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარს.

ნინო კვეტენაძის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილია შენობის სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ: 01024073552)

სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **ნიკოლოზ ჭაჭუასთვის**, ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით**, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 წლით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს **2700 (ორი ათას შვიდასი) ლარს.**

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ში/ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონება.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური, გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **(საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020)** 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" **(ს/ნ: 405156799)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „ველლ ჰაუზისთვის"** ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 31 აგვისტომდე.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა №21ა/ ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უძრავ ქონებას 2025 წლის 31 აგვისტომდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური, გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს ,,კასს პარკინგი"-სთვის (ს/ნ 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, მთავრობის N36.28.705 განკარგულებისა და საკრებულოს N 424 განკარგულების შესაბამისად, შპს „ი.დ.ლ"-ის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაეცა ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე. აღნაგობის უფლების წლიური საზღაურად შეთანხმდა - 1000 (ათასი) ლარი (აღნაგობის საერთო ვადის პირველი 7 (შვიდი) წლის მანძილზე), ხოლო

აღნაგობის მოქმედების ვადად განისაზღვრა 49 წელი. ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული ბრძანების დანართით განისაზღვრა აღნაგობის პირობები და წინამდებარე ბრძანება, გათანაბრებულ იქნა აღნაგობის ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელი ნაწილს შეადგენს ბრძანებაზე თანდართული აღნაგობის პირობები.

ნინო კვეტენაძის თქმით, 2018 წლის 20 აპრილს შპს „კასს პარკინგის" (ს/კ: 404497399) დირექტორმა ეკატერინე თორდიამ, განცხადებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა პროექტის საბოლოო დოკუმენტაციის მოსაბჭადებლად, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გაგრძელება, **2018 წლის მაისიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით.** რამდენადაც, საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენას აფერხებდა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციებით დატვირთული ქსელის არსებობა, რომლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას შესაბამისი კომპანიებიდან დასჭირდა საკმაოდ დიდი პერიოდი.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ 2018 წლის მაისის თვეში, ეკატერინე თორდიამ, არაერთი განცხადებებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა **პროექტის შეთანხმების ვადის განსაზღვრა 2018 წლის დეკემბრის ბოლომდე, აღნაგობის საზღაურის გადახდის გადავადება იმავე პერიოდით და მიწისზედა მშენებლობის** განხორციელების **უფლება.** რამდენადაც, საკომუნიკაციო ქსელების დიდი რაოდენობით არსებობის გამო, **შპს „კასს პარკინგს"** მოუწია აღნაგობის უფლებით გადაცემული ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დათმობა, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობისათვის, რის გამოც, ტერიტორიაზე 150 საპარკინგე ადგილის მოწყობა შეუძლებელი ხდებოდა, მიწისზედა მშენებლობის უფლების მიღების გარეშე.

როგორც **ნინო კვეტენაძემ** განმარტა, 2019 წლის 18 იანვარს, ეკატერინე თორდიამ, კვლავ მიმართა განცხადებით სააგენტოს და პროექტის წარმატებით განსახორციელებლად, წინასწარი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, ითხოვა **2017 წლის 13 ნოემბრის** ბრძანებით განსაზღვრული აღნაგობის საზღაურის მოხსნა, პროექტის შეთანხმების ვადის განსაზღვრა 2019 წლის დეკემბრამდე, ხოლო საპარკინგე ადგილების რაოდენობის **შემცირება 150-დან 110 ადგილამდე.**

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N424 განკარგულებაში, რომლის თანახმადაც, აღნაგობის უფლების წლიური საზღაური განისაზღვრება - 1 (ერთი) ლარის ოდენობით (აღნაგობის საერთო ვადის განმავლობაში), ნაცვლად 1000 (ათასი) ლარისა(აღნაგობის საერთო ვადის პირველი 7 (შვიდი) წლის მანძილზე).

ამასთან, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N36.28.705 განკარგულებით განსაზღვრული აღნაგობის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, **1000 ლარის ოდენობით** დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კასს პარკინგი"-ს გათავისუფლება.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** მიმართა მომხსენებელს და განაცხადა, რომ აღნიშულ საკადასტრო კოდზე, მიწისქვეშა პარკინგის

მშენებლობის გარდა დაგეგმილია მიწისზედა მშენებლობაც, რომლის თაობაზე ზემოაღნიშნულ კომპანიას წარმოდგენილი ჰქონდა ესკიზი.

ქალბატონი ლილეს თქმით, საკრებულოს სხდომებზე გამოდის კონკრეტული ადამიანების კონკრეტული ინტერესები. მისივე თქმით, საკრებულოს მხრიდან ხშირია, სხვადასხვა კომპანიების მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისას დაკისრებული პირგასამტეხლოს ჩამოწერა, ნაცვლად, ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული კანონით გათვალისწინებული სანქციების გატარებისა. *ქალბატონმა ლიპარტელიანმა, თბილისის საკრებულო, საჯარო ინტერესების უგულებელყოფაში და კონკრეტული ადამიანების პირადი ინტერესების გატარებაში დაადანაშაულა.*

კომისიის თავმჯდომარის – ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი შეეხება, მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, რაც ითვალისწინებს, საპარკინგე ადგილების შემცირებას **150-დან 110 ადგილამდე. ბატონმა ლევანმა** განმარტა, რომ ქალბატონი ლილეს მხრიდან გაჟღერებული ინფორმაცია კავშირში არ არის სხდომაზე წარმოდგენილ საკითხთან ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს მიწისზედა მშენებლობის უფლებას.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ წარმოადგინა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებით დატვირთული ქსელის არსებობის გამო, შეუძლებელია 150 საპარკინგე ადგილის აშენება. ბატონმა ლევანმა ისიც განმარტა, რომ სხვადასხვა პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს ინვესტორს, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში, მით უფრო, ინვესტორის მხრიდან წარმოდგენილი, დასაბუთებული, სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ თავად მიწისქვეშა მშენებლობის საკითხი პროექტირების ფაზაშია, შესაბამისად, პროექტის ესკიზის არსებობა ნინო კვეტენაძემ გამორიცხა. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში მიწისზედა მშენებლობა არ არის დაგეგმილი, ხოლო, მიწისზედა მშენებლობის დაწყება ნებართვის გარეშე, შეუძლებელია.

კომისიის წევრმა – **გიორგი ჩაკვეტაძემ** ქალბატონი ლილეს საპასუხოდ დაადასტურა, რომ წარმოდგენილ საკადასტრო კოდზე, მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობის გარდა არაფერია დაგეგმილი.

კომისიის თავმჯდომარის – ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის N19.258.391 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ასევე, რამდენადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების **ხელშეკრულებით** ნაკისრი

ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის N№61.011731710 ბრძანების დანართით განისაზღვრა აღნაგობის პირობები და წინამდებარე ბრძანება, შპს „ი.დ.ლ"-ის განცხადებასთან ერთად, გათანაბრებულ იქნა აღნაგობის ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელი ნაწილს შეადგენს ბრძანებაზე თანდართული აღნაგობის პირობები, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა),,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის N№61.011731710 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების" მე-17 მუხლის 17.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების მე-14 მუხლის შესაბამისად 1000 ლარის ოდენობით, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს ,,კასს პარკინგი"-ს (ს/ნ 404497399) გათავისუფლებაზე.

ბ),,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის N№61.011731710 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების" მე 3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების მე-13 მუხლის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს,,კასს პარკინგი"-ს (ს/ნ 404497399) გათავისუფლებაზე."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

34. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შესთავაზა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010;

N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადადება, შემდგომი შესწავლის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გადადების საკითხს.

მოისმინეს:

35. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი X8-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, თემქის დასახლება, კვარტალი X8-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით, არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გააჩნია დადებითი პოზიცია, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი, აგრეთვე, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ამასთან, ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში ეკლესიის დამხმარე ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემა, დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, თუკი, ეკლესიისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო განვითარება განხორციელდება მხოლოდ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის-ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი,

აგრეთვე, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც **ბატონმა ლევანმა** განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა. მისივე თქმით, საკრებულოს აპარატში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერას დაქვემდებარებული აქტივების (241 ერთეული) **გამოყენება ფუნქციონალური დანიშნულებით შესაძლებელი არაა,** აქტივებს დაკარგული აქვს თვისობრივი მახასიათებლები, **არის ძლიერ ამორტიზებული და აღარ ექვემდებარება შემდგომ გამოყენებას ფუნქციის დაკარგვისა და გამოუსადეგარობის გამო,** ხოლო აღდგენა შეუსაბამო ხარჯებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების სარგებლიანობის, ჩანაცვლებისა და მოლოდინის პრინციპიდან გამომდინარე **მათ გააჩნიათ ნულოვანი ღირებულება.**

ლევან ჟორჟოლიანმა, განკარგულების პროექტთან ერთად წარადგინა შემდეგი მასალა, კერძოდ:

1. ჩამოსაწერი ქონების ნუსხა;
2. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ძირითადი საშუალებების ჩამოწერის აქტები;
3. ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ღირებულების დადგენის აქტი;
4. მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების და მატერიალური მარაგების ჩამოწერის აქტი;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები;
6. აუდიტორის დასკვნა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მოამზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა - **სალომე ვერულაშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N25-101** დადგენილებაში, რომლის მიხედვით, მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსის მქონე პირის შვილ(ებ)ს, ექნებათ უპირატესი ჩარიცხვის შესაძლებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიზანია, ზემოხსენებული სტატუსით მოსარგებლე პირის შვილ(ებ)ისთვის, დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნა.

ამრიგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N25-101** დადგენილებით დამტკიცებული წესისმე-9 მუხლის მე-10 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსის მქონე პირის შვილი (შვილები)“.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ემუხლისმე-2** პუნქტი. ასევე,

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად, უნდა მიეთითოს: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39-51. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა:

„ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გამოსწორების შესახებ“;

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო ცირიასაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

39. მომხსენებელმა ისაუბრა „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე და განმარტა, რომ მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევი, არსებობს ძირითადი ქუჩიდან დამოუკიდებლად და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ვერის შესახვევს მიენიჭოს სატივეს ქუჩის სახელი, ვინაიდან, უბანს ადრე ერქვა სატიო (სატივე) - ტივმისადგომი ადგილი, სადაც ქართლიდან თბილისში ტივებით ხე-ტყე, ხილი და ბოსტნეული გადმოჰქონდათ, გადმოჰყავდათ ასევე მგზავრები.

40. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ქალბატონმა თინათინმა აღნიშნა, რომ ე.წ. „მაღლივის ხიდი“ ბაგებს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ე. წ. მაღლივ კორპუსს ერთმანეთთან აკავშირებს და ვინაიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელი პირდაპირ უკავშირდება პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებასა და მის შემდგომ განვითარებას, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ე. წ. „მაღლივის ხიდს“ მიენიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელი.

41. მომხსენებელმა ისაუბრა, „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ 2006 წელს, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის III შესახვევს მიენიჭა ნათია ბაშალეიშვილის სახელი და შესახვევი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად. ქუჩასთან არსებული ჩიხები კი დარჩა იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხის სახელწოდებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #14-59 დადგენილების თანახმად, ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც. შესაბამისად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ნათია ბაშალეიშვილის ქუჩასთან არსებულ იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხს მიენიჭოს ძირითადი ქუჩის, ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელი.

42. „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ქალბატონმა თინათინმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან ძდებარე უსახელო ტერიტორიისთვის (უსახელო ჩიხისთვის) სახელის მინიჭება და მას ენიჭება გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელი.

43. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე საუბრისას, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს, რომელსაც, კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭება თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელი.

44. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა, განმარტა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი, დღის წესრიგით გათვალისწინებული 44-ე საკითხი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის #208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

45. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ქალბატონმა თინათინმა აღნიშნა, რომ ეზიდთა სასულიერო საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის როსტომ ამადოვის წერილის თანახმად, ბატონმა როსტომმა მოითხოვა ეზიდთა ტაძრის და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერს მიენიჭოს ეზიდურ-ქართული მეგობრობის სახელი. საკითხის შესწავლისა და სასულიერო საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრი შემდგომ, დადგინდა, რომ სკვერი წარმოადგენს ტაძრის ეზოს და მის მოვლა-პატრონობას ეზიდთა სასულიერო საბჭო და მრევლი უზრუნველყოფს, შესაბამისად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, უსახელო სკვერს მიენიჭოს ეზიდურ-ქართული მეგობრობის სახელი, ეზიდი და ქართველი ხალხის მეგობრობის აღსანიშნავად.

46. „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან მიმართებით, მომხსენებელმა ისაუბარ შემდგომ გარემოებაზე: უსახელო ქუჩა მდებარეობს გზისკარის და ეგრისის ქუჩებთან, მასთან განვითარებულია ერთი შესახვევი და ერთი ჩიხი. ამრიგად, ვინაიდან, უსახელო ქუჩა მდებარეობს ეგრესის ქუჩასთან, ხოლო, ნოქალაქევი ეგრესის სამეფოს დედაქალაქია კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ერთ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს ნოქალაქევის სახელი.

47. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე საუბრისას, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ვინაიდან უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს იგოთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს აღნიშნული ქუჩის შესახვევს, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას მიენიჭოს იგოთის I შესახვევის სახელი.

48. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტით ხდება, დიდი დიღმისა და ახალი დიღმის ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ტერიტორიების სახელდება.

მომხსენებლის თქმით, უსახელო გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობს ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩასთან, მასთან არსებულ I გასასვლელთან და სანდრო მირიანაშვილის ქუჩასთან. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ნიკოლოზ სვანიშვილის I გასასვლელისა და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელება. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩა, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელი და სანდრო მირიანაშვილის ქუჩა.

49. თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თანახმად, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს ენიჭება დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელი, ვინაიდან, აღნიშნული უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დიმიტრი გულიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ძირითად ქუჩასთან განვითარებულ უსახელო ჩიხს.

50. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის წარდგენისას მომხსენებელმა განმარტა, რომ მოსახლეობა ითხოვს ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩის 360-ე კმ.ს მიმდებარე ტერიტორიასთან უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის „იების“ სახელის მინიჭებას. ადგილზე ტერიტორიის დათვალიერების და მოსახლეობასთან შეხვედრის დროს აღმოჩნდა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე იზრდება უამრავი ია. კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს იების სახელი.

51. ქალბატონი თინათინის თქმით, „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტით ხდება ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის დამისამართება და მას მიენიჭება, მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია